ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი
1922—1924 წ. ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.

ინსტრუქცია № 1

სოფლელთა სიების შედგენისა.

1. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამღებ სოფლელთა სიები შედგენილ უნდა იქნეს თვითეულ სოფელში ცალკე სამ ცალად.

2. სასოფლო სიების საჭირო ცნობებით შევსების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის მასალები, რომელიც შეეხება თვითეულ გადამხდელის მეურნეობას:

ა) გადამხდელის და მის ოჯახის წევრთა ჩვენება.

ბ) მეზობელთა ჩვენება.

გ) ყოველგვარი დოკუმენტალური ცნობები, მაგალითად: საოჯახო სიები, ცნობები სანადელო მიწების შესახებ და სხვა.

დ) სასურსათო საგადასახადო სიები და სხვა მასალები, რომელიც 1922 წლის სასურსათო გადასახადს შეეხება.

3. სასოფლო სიების შევსება სწარმოებს საჯაროდ, ყრილობაზე, რათა საჭიროების დროს შესაძლებელი იყოს ცნობების შემოწმება სოფლელთა დაკითხვით. თუ რომელიმე ცალკე გადამხდელი არ დაესწრება, ეს ვერ შეაჩერებს სოფლელთა სიაში ცნობების შეტანას მის მეურნეობის შესახებ.

4) თუ ცნობები ერთი მეორეს არ ეთანხმება და ან ადგილი აქვს სხვა და სხვა გაუგებრობას, მაშინ შეიძლება მოხდეს ფაქტიური დათვალიერება-შემოწმება სახნავისა, ბოსტნებისა, ბაღებისა, საქონლისა და სხვა.

5. სოფლელთა სიებში შეტანილ უნდა იქმნეს ცნობები სოფლის ყველა მეურნეობის შესახებ გამოუკლებლად, თუ გინდაც მათში ერიოს ისეთი მეურნეობანიც, რომელთაც მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ უნდა შეეწეროთ თანახმად დეკრეტისა. მიზეზი მეურნეობის განთავისუფლებისა გადასახადისაგან აღნიშნულ უნდა იქმნეს სიის უკანასკნელ (35) ხაზში (შენიშვნა).

6. სოფლელთა სიების შედგენის დროს უპირველესად შევსებულ უნდა იქნეს ის ხაზები, რომელშიაც შეტანილ უნდა იქმნეს ცნობები გადამხდელის მეურნეობის ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ, ანუ შემდეგი ხაზები: 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 16, 17 და 19.

რაც შეეხება ხაზებს—5, 7, 9, 11, 12, 13, 14, 15, 18 და 20-ს, ისინი შევსებულ უნდა იქმნან მას შემდეგ, როდესაც ადგილებიდან მიღებული იქნება ცნობები სახნავზე და მსხვილ ფეხა საქონელზე გამოანგარიშების ნორმის შესახებ, როდესაც მეურნეობანი განაწილებულ იქნებიან ჯგუფებად, როდესაც გადასახადის რაოდენობა განაწილებულ იქნება თვითეულ დესეტინა სახნავ მიწაზე და თითო სულს მსხვილფეხა საქონელზე და როდესაც აგრეთვე განაწილებულ იქნება ადგილები მოსავლიანობის მიხედვით.

7. თვითეულ მეურნეობას ამა თუ იმ სოფელში გარკვეული ნომერი უნდა დაერქვას რიგის მიხედვით და ეს ნომერი აღნიშნულ უნდა იქმნას სიის პირველ ხაზში. მოსახლის გვარი, სახელი და მამის სახელი შეტანილ უნდა იქმნას მე-2 ხაზში.

8. მე-3 ხაზში აღნიშნულ უნდა იქმნას დესეტინათა რიცხვი მეურნეობაში, სადაც დათესილია ზამთრის, ან გაზაფხულის პური, კართოფილი, ბოსტნეული, აგრეთვე აღნიშნულ უნდა იქმნეს დასასვენებლად დატოვილ დესეტინათა რიცხვი. დესეტინა აღებულ უნდა იქმნას სახაზინო, ზომით 2.400 ოთხკუთხი საჟენი.

P 11067

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მე-4, 6, 8 და 10 ხაზებში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ მეურნეობაში რამდენი დესეტინა უჭირავს სათიბებს, ხილის ბაღებს, თხილის პლანტაციებს, ვენახებს და ოამ-ბაქოს.

10. მე-10 ხაზში აღნიშნულ უნდა იქმნეს საერთო რიცხვით: მსხვილ-ფეხა საქონელი ორ წლისაზე მეტი, ცხენი, ხარი, სახედარი სამ წლისაზე მეტი, აგრედვე კამბეჩი და აქლემი 4 წლისაზე მეტი.

11. მე-17 ხაზში აღნიშნული უნდა იყოს საერთო რიცხვით თვითეულ მეურნეობის ცხვარი და თხა ერთი წლისაზე მეტი.

12. მე-19 ხაზში შეტანილ უნდა იქმნეს ღორის რიცხვი, ერთს წლისაზე მეტი.

13. მე-5, 7, 9 და 11 ხაზში ნაჩვენები უნდა იყოს შესაფერისი რიცხვი სათიბებისა, ხილის ბაღებისა, თხილის პლანტაციებისა, ვენახებისა და თუთუნისა სახნავი მიწების დესეტინებზე გადატანით თანახმად ნორმისა.

14. მე-12 ხაზში უნდა აღინიშნოს ჯამი მე-3, 5, 7, 9 და 11 ხაზისა.

15. მე-18 და 20 ხაზში უნღა აღინიშნოს შესაფერი რიცხვი წვრილ-ფეხა საქონლისა და ღორისა მსხვილ-ფეხა საქონელზე გადატანით თანახმად ნორმისა.

16. მე-21 ხაზში უნდა აღინიშნოს ჯამი მე-16, 18 და 20 ხაზისა.

17. მეურნეობაში მოქცეულ მიწის დესეტინების რიცხვის მიხედვით უნდა დაწესდეს ჯგუფები (ინსტრუქციის მე-5 მუხლი) და თვითეულ მათგანს უნდა დაედოს განსაზღვრული განაკვეთი თვითეულ სახნავ დესეტინაზე. მე-13 ხაზში უნდა აღინიშნოს ჯგუფის ნომერი, ხოლო მე-14-ში განაკვეთი დესეტინა სახნავზე იმის შესაფერად, თუ მოსავლიანობის მხრით იგი რომელს ხარისხს ეკუთვნის.

18. მე-15 ხაზში უნდა აღინიშნოს რიცხვი (ფუთები ხორბლეულით), რომელიც მიღებულ იქნება მე-12 ხაზში აღნიშნულ რიცხვის გამრავლებით მე-14 ხაზში ნაჩვენებ რიცხვზე.

19. საქონლის რიცხვის მიხედვით უნდა დაწესდეს ჯგუფები (ინსტრუქციის მე-6 მუხლი) და თვითეულ მათგანს უნდა დაედოს განსაზღვრული განაკვეთი თითო სულს მსხვილ-ფეხა საქონელზე. მე-22 ხაზში ნაჩვენები უნდა იყოს ჯგუფის ნომერი, ხოლო მე-23 ხაზში-განაკვეთი თითო მსხვილ-ფეხა საქონელზე ამ ჯგუფის შესაფერად.

20. მე-24 ხაზში შეტანილ უნდა იქმნეს (ფუთები ხორბლით) ჯამი, რომელიც მიღებულ იქნება მე-21 ხაზში ნაჩვენებ რიცხვის გამრავლებით მე-23 ხაზში აღნიშნულ რიცხვზე.

21. მე-25 ხაზში შეტანილ უნდა იქმნეს მეურნეობაზე შეწერილ გადასახადის რაოდენობა, რომელსაც შეადგენს გადასახადის ჯამი სახნავის სივრცის მიხედვით და გადასახადის ჯამი საქონლის რიცხვის მიხედვით (ჯამები მე-15 და 24 ხაზებისა).

22. მე-26 ხაზის დანიშნულება ის არის, რომ იქ ხელი მოაწეროს გადასახადის გამღებმა შეწერილობის ფურცლის მიღებაზე.

23. მე-27, 28, 29, 30, 31, 33 და 34 ხაზებში უნდა აღინიშნოს, თუ რამდენი გადაიხადა გადასახადის გამღებმა. მისი შევსების წესი ნაჩვენებია საგანგებო ინსტრუქციაში.

ა./კ. სახალხო სასურსათო
კომისარი **დ. ბუნიატ-ზადე.**

ა./კ. ფინანსთა სახალხო
კომისარი **ნ. თუმანოვი.**

5 მაისი 1923 წ.

ცეკაკშირის სტამბა.

ნებადართულია ლიტ. და გამომც. მთავარ სამმართველ. მიერ № 262.

ტფილისი, ტირაჟი 1000 ცალი.